ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2913780

ნომერი: AR1447912

თარიღი : 11.10.2016

გაცემის თარიღი : 08.11.2016

გაცნობის თარიღი : 08.11.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ჯანაშია , N12/16 / ქალაქი თბილისი , ქუჩა ხორავა , N14 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი მეგრელიშვილი პ/ნ 01030006742
- თბილისი ნ.გოგოლის ქ. N 26

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 15 სექტემბრის #2835045 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2016 წლის 11

ოქტომბერს #AR1447912 განცხადებით მომართეს გიორგი მეგრელიშვილმა და ლევან ჯანჯღავამ. განმცხადებლებმა მოითხოვეს ამავე სამსახურის 2016 წლის 15 სექტემბრის #2835045 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 15 სექტემბრის #2835045 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში (სექტორი – მთაწმინდა), ჯანაშიას ქ. #12/16 / ხორავას ქ. #14-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2016 წლის 16 სექტემბრიდან 2017 წლის 16 სექტემბრის ჩათვლით.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 15 სექტემბრის #2835045 ბრძანებაში დამკვეთად მითითებულია ე.ს.ა. „ჯანაშია 2014“. საჯარო რეესტრის ამონაწერის (განაცხადის რეგისტრაცია: #882016632866, მომზადების თარიღი: 19/09/2016 წ., ს/კ: #01.15.02.023.016) შესაბამისად, საპროექტო მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს ე.ს.ა. „ჯანაშია 2014“. საგადასახადო რეგისტრაციის შესახებ ინფორმაციის (გარდა მეწარმეთა შესახებ კანონით განსაზღვრული სუბიექტებისა) შესაბამისად, (რეგისტრაციის ნომერი: #205306729, რეესტრში ჩართვის ცვლილების თარიღი: 23/10/2013) ე.ს.ა. „ჯანაშია 2014“-ის (ს/კ: #205306729) ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ლევანი ჯანჯღავა.

განმცხადებლის განმარტების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 15 სექტემბრის #2835045 ბრძანებაში არასწორად აისახა ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები და შესაბამისად, ითხოვს ტექნიკური შეცდომის გასწორებას ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით. კერძოდ, მანსარდის ფართობის - 87.9 კვ.მ-ის ამოღებას, საცხოვრებელ ფართობად 1456.9 კვ.მ–ის ნაცვლად 1540.8 კვ.მ-ის, კომერციულ ფართობად 286.8 კვ.მ–ის ნაცვლად 286.7 კვ.მ-ის, საზაფხულო ფართობად 214.5 კვ.მ–ის ნაცვლად 219.2 კვ.მ-ის, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 130.2 კვ.მ–ის ნაცვლად 152.2 კვ.მ-ის, ხოლო, საერთო ფართობად 2548.0 კვ.მ–ის ნაცვლად 2570.6 კვ.მ–ის დაფიქსირებას.

სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა–ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ფართობების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. ამასთან, სამსახურმა დაადგინა, რომ გეგმები არ იცვლება, უბრალოდ ხდება გეგმებზე ფართობების დაზუსტება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 15 სექტემბრის #2835045 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 15 სექტემბრის #2835045 ბრძანებაში, კერძოდ: ამოღებულ იქნას მანსარდის ფართობი - 87.9 კვ.მ., საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდეს 1540.8 კვ.მ., კომერციულ ფართობად - 286.7 კვ.მ., საზაფხულო ფართობად - 219.2 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად - 152.2 კვ.მ., საერთო ფართობად - 2570.6 კვ.მ.;
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 15 სექტემბრის #2835045 ბრძანებით შეთანხმებული ყველა გეგმა ჩანაცვლდეს 2016 წლის 11 ოქტომბრის #AR1447912 განცხადებით წარმოდგენილი ყველა გეგმით;
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 15 სექტემბრის #2835045 ბრძანების სხვა ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები დარჩეს უცვლელი;
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 15 სექტემბრის #2835045 ბრძანებასთან ერთად;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის მერთან (მის.: ქ. თბილისი, შარტავას ქუჩა #7), კანონმდებლობით